დასანანი წაგება

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) – 1:2 (1:1).

“სპარტაკი” – ივაკინი, ტიშჩენკო, მასლიონკინი, ოგონკოვი, პარამონოვი, ნეტო, ტატუშინი, ისაევი, სიმონიანი, პარშინი, სალნიკოვი.

“დინამო” – მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, რამიშვილი, ხასაია, გაგნიძე, ღოღობერიძე, იამანიძე, ჭკუასელი.

მსაჯი – პ. ბელოვი (ლენინგრადი).

31 მარტს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი მთელი საბჭოთა კავშირის სპორტული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა, რადგან ამ დღეს იხსნებოდა XIX საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში.

ძველი მეტოქეების – თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” მატჩზე დასასწრებად მოსკოვიდან მრავლად იყვნენ ჩამოსული სპორტული კორესპონდენტები, რადიოკომენტატორი, ფეხბურთის სპეციალისტები და სხვანი. ბლოკნოტით ხელში თამაშს თვალს არ აცილებდა თბილისელთა მომავალი მოწინააღმდეგის – მოსკოვის “დინამოს” უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი.

საზეიმო მარშის ხმაზე მინდორზე გამოვიდნენ სეზონის გახსნის მონაწილე თბილისისა და მოსკოვის გუნდები. მათ მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ. გუნდების კაპიტნებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ი. ნეტომ და ა. ღოღობერიძემ აღმართეს ჩემპიონატის დროშა.

სსრ კავშირის 1957 წლის პირველობა ფეხბურთში გაიხსნა, დაიწყო თამაში.

იგი დაიწყო “დინამოს” მძაფრი იერიშებით, სულ ათიოდე წუთი იყო გასული ბელოვის პირველ სასტვენიდან და სპარტაკელთა მცველები უკვე სრული დატვირთვით იყვნენ ჩაბმული მძიმე ბრძოლებში. კარგ მდგომარეობაში მიიღო ჭკუასელმა ღოღობერიძის გადაცემა, ორჯერ უკანასკნელ წამს მოუსწრეს გაგნიძეს ნეტომ და მასლიონკინმა, გაჭირვებით იქნა ლიკვიდირებული ხასაიას სწრაფი გარღვევა ფლანგზე, კვლავ სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა ჭკუასელი, რომლის წინააღმდეგ ნეტოს მხოლოდ ერთი, უკანასკნელი საშუალება ჰქონდა დარჩენილი – სარმა.

“დინამოს” შეტევა მთელი ფრონტით წარმოებდა – გაშლილად, სწრაფად, კომბინაციურად, ყოველგვარი ქაოსის გარეშე. ბრწყინვალედ თამაშობდა გუნდის კაპიტანი ღოღობერიძე. იგი ოდნავ უკან, მინდვრის სიღრმეში იყო დაწეული და აქედან იწყებდა თავის იერიშებს. როგორც ინდივიდუალურ ბრძოლაში, ისე საერთოდ კომბინაციურ შეტევაში იგი დაუღალავად, სრული ენერგიით მოქმედებდა, ხშირად იცვლიდა ადგილებს თავის პარტნიორებთან, განსაკუთრებით ჭკუასელთან. დინამოელთა ასეთი იერიშის მოგერიება “სპარტაკის” განთქმული დაცვისათვისაც კი ძნელი პრობლემა აღმოჩნდა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ “შრომის განაწილების” საკითხი “სპარტაკის” მოთამაშეთა შორის სანიმუშოდაა დაყენებული. უაღრესად კრიტიკულ მომენტებშიც ისინი არ კარგავენ სიმშვიდეს, ურთიერთდაზღვევას. ფეხბურთელები, რომლებსაც ფორვარდების ნომრები აწერიათ ზურგზე, დაუზარებლად მონაწილეობენ დაცვითს ოპერაციებში, ცდილობენ დაცვა ბურთის უმისამართო მოგერიება კი არ იყოს, არამედ გეგმიანი კონტრშეტევის დასაწყისი, რომელიც ყოველთვის შეიძლება წარმატებით გაგრძელდეს ფლანგზე ან ცენტრში.

სწორედ ასეთი კონტრშეტევა განახორციელეს მოსკოველებმა მე–13 წუთზე. მოწინააღმდეგის მორიგი შეტევა მათ ძლივს მოიგერიეს და ბურთი მარცხენა ფრთაზე გაგზავნეს, სადაც მსაჯმა საჯარიმო დარტყმა დანიშნა დინამოელთა მცველის უხეში თამაშისათვის. სიმონიანმა საჯარიმო ზუსტად დაკიდა კარის შორეულ კუთხისაკენ, მარღანიამ წამით დააგვიანა გამოსვლა, ვერ მოუსწრო ბურთს და სალნიკოვმა თავით გაიტანა პირველი გოლი – 1:0.

ამ გოლმა მცირე ხნით შეაფერხა “დინამოს” შეწყობილი იერიშები. ჩემპიონის საბრძოლო მექანიზმი თანდათან შევიდა მოქმედებაში, რომელსაც დიდი ხელოვნებით წარმართავდა მისი “სადისპეტჩერო პუნქტი” სალნიკოვი–ნეტო. მოსკოველებმა ყველა ღონეს მიმართეს, რათა ანგარიშის გახსნას გარდატეხაც მოჰყოლოდა თამაშში, რის შემდეგ ინიციატივის წარმართვა მასპინძელთათვის მეტად ძნელი ამოცანა იქნებოდა, მაგრამ “სპარტაკმა” ვერ შეძლო თავისი გენერალური შტურმის სისრულეში მოყვანა. მისი ოლიმპიური მარჯვენა ფრთა ისაევ–ტატუშინი მჭიდროდ იყო ჩაკეტილი, ხოლო სიმონიანი ძირითადად მეორეხარისხოვან კომბინაციებში მონაწილეობდა მინდვრის შუაგულში, ვინაიდან კარის სიახლოვეს მას გასაქანს არ აძლევდა ძიაპშპა. ჩინებულად თამაშობდნენ კოტრიკაძე და რამიშვილი, რომლებიც დაუღალავად ასრულებდნენ როგორც თავდასხმით, ისე დაცვითს ფუნქციებს.

მალე თამაშის სიმძიმემ კვლავ ჩემპიონის ნახევარზე გადაინაცვლ.ა მოსკოველთა კართან სამჯერ ზედიზედ იქნა მოწოდებული კუთხური საჯარიმო, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მეკარე ივაკინმა.

21–ე წუთზე ხასაიამ ბურთი მიაწოდა ჭკუასელს. ჭკუასელმა იგი თავს ზემოდან გადაუგდო მასლიონკინს და გაიჭრა კარისაკენ. დინამოელს ჯგუფად მოსდევდნენ მასლიონკინი, ოგონკოვი, პარამონოვი და ნეტო, ხოლო მის შესახვედრად კარიდან გამოდიოდა ივაკინი. დარჩენილი იყო ერთადერთი გამოსავალი – კარში დარტყმა და ჭკუასელმაც დაარტყა… ბურთი მოხვდა ძელს და გავიდა კარში – 1:1.

35–ე წუთზე სტუმრების კარი აშკარა გოლს გადარჩა: მარცხენა მხრიდან მოწოდებული ბურთი ხასაიამ სულ ახლო მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გადააცილა ზედა ძელს.

ტაიმი დამთავრდა ფრედ.

მეორე ტაიმი კვლავ დინამოელთა შეტევით დაიწყო. 15 წუთის განმავლობაში თამაში სტუმართა კართან მიმდინარეობდა, მაგრამ მალე თავი იჩინა პირველი ტაიმის დიდმა ფიზიკურმა დატვირთვამ, საერთო დაძაბულობამ. გადაცემები აღარ იყო წინანდებურად ზუსტი, მოიკლო სისწრაფემ და არც ტექნიკურად რთული ელემენტები სრულდებოდა ისე დახვეწილად, როგორც შესვენებამდე.

23–ე წუთზე ჩემპიონის კარი კიდევ ერთხელ გადარჩა ნაღდ გოლს – იამანიძე მარცხნიდან დრიბლინგით გავიდა რამდენიმე მოთამაშეს შორის და საჯარიმო მოედანში შევიდა. აქ ბურთი მიიღო ღოღობერიძემ და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში. ბურთი ორიოდე სანტიმეტრით აცდა კარს.

“სპარტაკმა”, როგორც იქნა, შეძლო თავისი ნამდვილი შემტევი თამაშის გაშლა. 31–ე წუთზე ტატუშინი გაექცა ძიაპშპას და კარის წინ ჩააწოდა პარშინს. ეს უკანასკნელი მეტად კარგ პოზიციაში იყო, მაგრამ მისი დარტყმა სუსტი აღმოჩნდა. მარღანიამ მოუსწრო იოლ ბურთს, მაგრამ ხელიდან გაუვარდა იგი. მეკარის მეორე ნახტომი კიდევ უფრო მარცხიანი გამოდგა – მარღანიას აღებული ბურთი ხელიდან გაუვარდა, გადასცდა ხაზს – 2:1.

ანგარიშის გათანაბრება ძნელი აღმოჩნდა. მოსკოველები მთელი ძალებით იცავდნენ თავიანთ მონაპოვარს, გარდა ამისა, მათს სასარგებლოდ მოქმედებდა დროის ფაქტორიც და ისინიც ყოველმხრივ ცდილობდნენ გამოეყენებინათ იგი – ბურთი ხშირად მოგზაურობდა ხაზს გარეთ. ამას გარდა, თამაშის დასასრულს დინამოელები ათნი დარჩნენ – არასპორტული საქციელისათვის მინდვრიდან გაძევებულ იქნა ძიაპშპა.

მეტად საინტერესო მატჩი მოიგო “სპარტაკმა” – 2:1.

თბილისის “დინამომ” დამარცხება განიცადა გათამაშების სტარტზევე და ეს მით უფრო დასანანია, რომ გუნდს შეეძლო მოეგო იგი, ან ერთი ქულა მაინც აეღო ჩემპიონთან ბრძოლაში. მაგრამ ეს მარცხი არ უნდა დაემჩნეს კოლექტივს მომავალ შეხვედრებში. განვლილ მატჩში თბილისის “დინამომ” ცხადყო თამაშის მაღალი კლასი, საბრძოლო თვისებები, კარგი ინდივიდუალური მომზადება და, რაც მთავარია, კოლექტიურობა. საჭიროა მხოლოდ, რომ ყველაფერ ამას ჰქონდეს სტაბილური ხასიათი. დინამოელებს შესწევთ ძალა შეასრულონ თავიანთი დანაპირები – გავიდნენ უძლიერესთა რიგებში.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 2 აპრილი, 1957 წ.